საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04/07/30647
09/12/2016

30647-04/07-2-201612091530

„ფაქტ-მეტრი“-ს რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ ნინო ჩიბჩიურს

ქალბატონო ნინო,

სამინისტროში 2016 წლის 6 დეკემბერს შემოსული თქვენი წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა ბაზის მიხედვით, დღეის მდგომარეობით, ქ. გორში რეგისტრირებულია 1870 დევნილი ოჯახი. მათ შორის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 1058 ოჯახი.

2012 წლიდან სამინისტრომ განახორციელა ქ. გორში, ბესიკის ქ. N4-ში, ნანეიშვილის ქ. N7-ში და ცხინვალის ქ. N18-ში მდებარე ყოფილი საბავშვო ბაღების ბინებად სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აქვე გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე ქ. გორში, მოსკოვის ქუჩაზე, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გადმოცემულ მიწის ნაკვეთზე, მიმდინარეობს ოთხი შეწყვილებული ათსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა 480 ოჯახზე და ცხინვალის გზატკეცილის მე-3 კილომეტრზე მდებარე, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი შენობა N1-ის ბინებად სარეაბილიტაციო სამუშაოები 29 ოჯახზე.

პატივისცემით,

გოგუცა გურული

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი